ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე
გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 28.04.2015
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/15

შეკითხვა:

სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს საზოგადოებრივი (ე.წ. სახაზინო) ადვოკატის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ საჯარო კონკურსში. სამინისტროს სამსახური შემდგომში „გარდაიქმნა“ დამოუკიდებელ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურად.

ადვოკატს უარი ეთქვა აღნიშნული ვაკანტური თანამდებობის დაკავებაზე საკონკურსო კომისიის მიერ. კონკურსანტმა ადვოკატმა მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე გაასაჩივრა საპრეტენზიო საკონკურსო კომისიაში დაუსაბუთებელი უარი, რომელმაც ზეპირი მოსმენით განიხილა საჩივარი კონკურსანტის მონაწილეობით.

საპრეტენზიო-საკონკურსო კომისიაში შემავალი 3 წევრიდან ერთი გახლდათ იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციის თანამშრომელი (იურისტი), ხოლო დანარჩენი ამავე სამსახურის რეგიონული ბიუროების საზოგადოებრივი ადვოკატები.

აღნიშნულმა საპრეტენზიო კომისიამ არ გაითვალისწინა და უგულებელყო ის, რომ თავდაპირველ კომისიას არ უწარმოებია კანონმდებლობით დადგენილი სხდომის ოქმი კონკურსის მსვლელობის დროს და სხვა მთელი რიგი უხეში დარღვევები, რაც შეკითხვის მიზანს არ ემსახურება. ადვოკატმა მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული ადმინისტრაციული ორგანოს უარი და საბოლოო ადმინისტრაციული აქტი კონკურსის შედეგის ბათილად ცნობის ნაწილში გაასაჩივრა სასამართლოში, ადმინისტრაციულმა ორგანომ კონკურსანტ ადვოკატის წინააღმდეგ თავის წარმომადგენლად წარგზავნა ისევ იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონული საზოგადოებრივი ადვოკატები და არა ვთქვათ, თავისივე ადმინისტრაციის სამსახურის იურისტები და ამის დაბრკოლება ობიექტურად სამსახურს არ გააჩნდა.

საზოგადოებრივმა ადვოკატებმა აღნიშნულ საქმეზე გასწიეს იურიდიული დახმარების სამსახურის წარმნომადგენლობა სამივე ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის (უშუალოდ ადვოკატის) წინააღმდეგ.

რამდენად ლოგიკურია საზოგადოებრივი ადვოკატების მოქმედება? ადვოკატთა პროფესიული ეთიკის რომელი ნორმა დაირღვა მათ მიერ, ან თუ არ დარღვეულა რატომ ?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი: „პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება“.

კოლეგიალობის პრინციპი გულისხმობს კოლეგების მიმართ პატივისცემას, პროფესიული ღირსების დაცვასა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოქმედებას.

შეკითხვიდან ირკვევა, რომ კონკურსანტ ადვოკატის მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლო დავაში წარმოადგენდა იურიდიული დახმარების სამსახური, რომლის წარმომადგენლობა განახორციელეს მოცემული სამსახურის საზოგადოებრივმა ადვოკატებმა.

განსახილველ შემთხვევაში, შეკითხვის ტექსტიდან არ ჩანს მოცემული სამსახურის საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ რაში გამოიხატა კოლეგების მიმართ უპატივცემულობა, პროფესიული ღირსების შეუფერებელი რა საქციელი ჩაიდინეს მათ და მათი რომელი მოქმედება არ შეესაბამებოდა პროფესიულ სტანდარტებს, ხოლო, ადვოკატების მიერ თავისი

კოლეგის წინააღმდეგ წარმომადგენლობის განხორციელება თავისთავად არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევას, კერძოდ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატების მიერ სასამართლოში ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესების დაცვა წარმოადგენს მათ მიერ პროფესიული ფუნქციის შესრულებას.

დასკვნა:

კონკურსანტ ადვოკატის წინააღმდეგ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლობის განხორციელება ადვოკატების მიერ არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე.

კომისიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/